ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
Газета выходит с 1926 года.

№ 3 (2098) კვირა, 19 იანვარი, 1986 წელი. ● ფასი 2 კაპ.

## სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

**სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მშრომელთა ავადობის პროფილაქტიკისა და შემცირებისათვის ნოვოლიპეცკის მეტალურგიული, სამხრეთის სამთო-მამდიდრებელი და ბერეზნიკის ტიტან-მაგნიუმის კომბინატების, მოგილიოვის საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს" და როდნიკის მელანჟის კომბინატ „ბოლშევიკის" პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციებისა და სამეურნეო ხელმძღვანელების მუშაობის გამოცდილება.**

ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ხსენებულ საწარმოთა პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები და სამეურნეო ხელმძღვანელები აქტიურად მუშაობენ მშრომელთა ჯანმრთელობის გაკაჟებისა და დაცვისათვის და კარგ შედეგებს მიაღწიეს. სამუშაო დროის დანაკარგები დროებითი შრომისუუნარობის გამო აქ არსებითად ნაკლებია საშუალო დარგობრივ მაჩვენებლებზე და გაცილებით მცირდება უფრო სწრაფად, ვიდრე მთლიანად სახალხო მეურნეობაში.

ავადობის პროფილაქტიკისა და შემცირებისათვის მუშაობას ყოველდღიურ კონტროლს უწევენ პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები, მასში ჩაბმულია ფართო აქტივი.

საწარმოებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მშრომელთა უშუალოდ წარმოებაში სამედიცინო მომსახურების ორგანიზაცია და გაიზარდა მისი ეფექტიანობა. განხორციელდა ექიმების მიმაგრება საამქროებზე, შეიქმნა ინჟინერ-ტექნიკური და მედიცინის მუშაკების ერთობლივი ბრიგადები. განხორციელდა ქმედითი ღონისძიებები ქალთა ავადობისა და ბავშვების მოვლის გამო სამუშაო დროის დანაკარგების შემცირებისათვის. გაუმჯობესდა საზოგადოებრივი კვება.

სათანადო ადგილი ეთმობა ცხოვრების ჯანმრთელი წესის პროპაგანდასა და დამკვიდრებას. ფართოდ წარმოებს მუშაობა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დასაძლევად, შეიქმნა კარგი პირობები ფიზკულტურისა და სპორტისათვის. პროფილაქტიკურ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესებაში, სამკურნალო-პროფილაქტიკური ბაზის განმტკიცებაში უშუალოდ მონაწილეობენ საწარმოების მშრომელები.

ამავე დროს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ აღნიშნულ და ზოგიერთ სხვა საწარმოში შეძენილი დიდი, დადებითი გამოცდილება სუსტად ვრცელდება. სამინისტროებსა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ბევრი ხელმძღვანელი ჯეროვნად ვერ აფასებს მშრომელთა ავადობის პროფილაქტიკისა და შემცირებისათვის მუშაობის დიდ მნიშვნელობას, კვლავ ურიგდება შრომის დაცვის, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა ჩაშლას. ამის შედეგად დროებითი არაშრომისუნარიანობის გამო დანაკარგები კვლავ დიდია. მშრომელთა ავადობა ნელა მცირდება. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს წარმოებაში საქმის მდგომარეობაზე, ხელს უშლის შრომითი რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია, რომ დარგობრივი პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტებთან და შესაბამის სამინისტროებთან, პროფკავშირების ადგილობრივ საბჭოებთან და კომიტეტებთან ერთად საკავშირო პროფსაბჭომ მოაგვაროს მოწონებული გამოცდილების ფართო გავრცელება, მოაწყოს სემინარები საუკეთესო საწარმოების ბაზაზე, შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებათა კომპლექსი, რათა განამტკიცონ და დაიცვან მშრომელთა ჯანმრთელობა, არ დაუშვან კოლექტიური ხელშეკრულებების დარღვევის, საწარმოთა სოციალური ფონდების არასწორი გამოყენების ფაქტები, მიაჩნიონ მშრომელებისაკუთარი ფიზიკური სრულყოფისათვის ზრუნვას, დაამკვიდრონ ჯანსაღი ცხოვრების წესი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მოსთხოვა ღრმად გააანალიზონ კოლექტივებში გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობა და მეთორმეტე ხუთწლედის გეგმებში უზრუნველყონ იმ ღონისძიებათა პრიორიტეტები, რომლებიც უკავშირდება სამრეწველო სანიტარიის ნორმების დაცვას, დაავადებათა პროფილაქტიკის, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას.

მოწინავე საწარმოთა გამოცდილებისამებრ შეიმუშაონ დარგებში მიზნობრივი პროგრამები „ჯანმრთელობა", რომლებიც გულისხმობენ კომპლექსურ მიდგომას ავადობის შემცირებისათვის გამიზნული მთელი საწარმოო, პროფილაქტიკური და სამკურნალო საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისადმი. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმას, რომ ტექნოლოგიური პროცესები და გამოშვებული მოწყობილობა შეესაბამებოდეს სანიტარული ნორმების მოთხოვნებს. გააფართოონ სანატორიუმ - პროფილაქტორიუმების, დასასვენებელი ბაზების, საამქროების, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ცენტრების, სპორტული მოედნებისა და ნაგებობების ქსელი, მიაღწიონ მათ მიზანმიმართულ და ეფექტიან ფუნქციონირებას. უფრო სრულად გამოიყენონ ამ მიზნით კოლექტივების მიერ გამომუშავებული ინიციატივა, წაახალისონ მათი პირადი მონაწილეობა აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებაში. დიდმნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნიონ უშუალოდ საწარმოებში სამკურნალო პროფილაქტიკური ბაზის გაფართოება და განმტკიცება. წარმოებასთან მისი დაახლოება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სამედიცინო დახმარებისა და ავადობის თავიდან აცილებისათვის მუშაობის ეფექტიანობას.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა კიდევ უფრო სრულყონ მშრომელთა სამედიცინო მომსახურების ორგანიზაცია, გაუძლიერონ დახმარება საწარმოებსა და ორგანიზაციებს საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, სანატორიუმ-პროფილაქტორიუმებისა და საამქრო საექიმო უბნების კვალიფიციური პერსონალით, თანამედროვე სამედიცინო ტექნიკითა და პრეპარატებით დაკომპლექტებაში დადგენილი ნორმების შესაბამისად, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უახლესი მეთოდების დანერგვას. გააძლიერონ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა საექიმო ექსპერტიზის ხარისხისათვის, საავადმყოფო ფურცლების გაცემის საფუძვლიანობისათვის.

სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის სახმშენთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად უნდა შეიმუშაოს და დაადგინოს შეღავათიანი პირობები, რომლებიც დააჩქარებენ საწარმოებში სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების ობიექტების დაპროექტებასა და მშენებლობას. უზრუნველყოფენ კოლექტივების შრომითი მეცადინეობის გზით შექმნილი ეკონომიკური სტიმულირების ფონდების უფრო ფართოდ გამოყენებას. წარმოების ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინოს სამკურნალო და გამაჯანსაღებელი დაწესებულებების, შრომის ჯანსაღი პირობების შექმნის ღონისძიებანი.

სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს, ცენტრალური, დარგობრივი და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს რეკომენდაცია მიეცათ უფრო ფართო პროპაგანდა გაუწიონ ავადობის პროფილაქტიკისა და შემცირებისათვის შრომითი კოლექტივების საუკეთესო გამოცდილებას, გააშუქონ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მუშაობას სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდისათვის გათვალისწინებული პარტიის მიერ დასახული ამოცანების პრაქტიკულ განხორციელებაში.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები ვალდებულნი არიან გაზარდონ მომთხოვნელობა ხელმძღვანელი კადრებისადმი იმ ღონისძიებების განხორციელებისათვის, რომელთა მიზანია საწარმო-საყოფაცხოვრებო პირობების, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, დაავადებათა პროფილაქტიკა. მიაღწიონ ამ საკითხების გადაწყვეტისათვის სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, პროფკავშირული ორგანოების, სამედიცინო დაწესებულებების საწარმოებისა და ორგანიზაციების კოორდინირებულ და ეფექტიან ერთობლივ მუშაობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებისა და დაცვის ამოცანა პარტიის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და იგი უნდა მიკიჩნიოთ ეკონომიკის ინტენსიფიკაციის დაჩქარების, მისი ეფექტიანობის ზრდის აღებული კურსის პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებელ პირობად. პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანოებს ეს საკითხები ნიადაგ თვალთახედვის არეში უნდა ჰქონდეთ, უფრო სრულად და შემოქმედებითად იყენებდნენ მათი გადაწყვეტისათვის მოწინავე კოლექტივების გამოცდილებას, მთელ არსებულ რეზერვებს.

## საინფორმაციო ცნობა
## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

15 იანვარს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XXV პლენუმი. პლენუმზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, პარტიის რაიკომის უფლებების მქონე პარტკომების მდივნები, რომლებიც არ შედიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში.

პლენუმმა განიხილა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მოწყობის თარიღის საკითხი. მან შეიტანა ცვლილება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXII პლენუმის 1985 წლის 18 მაისის დადგენილებაში და გადაწყვიტა ყრილობა მოეწყოს 1986 წლის 24-25 იანვარს.

პლენუმის მონაწილეებმა მოიწონეს და ერთხმად დაამტკიცეს საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დღის წესრიგი და მუშაობის რეგლამენტი.

პლენუმმა განიხილა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელსაც წინასწარ გაეცნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრები. ინფორმაცია ამ საკითხზე გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. ა. შუშანაშვილი, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების ხარატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი ტ. ვ. როსტიაშვილი, ახმეტის რაიონის ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ნ. ა. პეტრიაშვილი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი, სოციალისტური შრომის გმირი, პოეტი-აკადემიკოსი ი. ვ. აბაშიძე, საქართველოს კომპარტიის ძერჟინსკის რაიკომის პირველი მდივანი რ. შ. მხეიძე, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორი ნ. ვ. ჩერქეზიშვილი, საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი დ. ე. სარიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ე. ა. სეხნიაშვილი, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი ფ. მ. მახარაძე, საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი ლ. ლ. შარაშენიძე, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი რ. ვ. ბასარია.

პლენუმმა ერთხმად დაამტკიცა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისადმი და დაავალა ამხ. ჯ. ი. პატიაშვილს გააკეთოს იგი ყრილობაზე.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტის შესახებ ინფორმაცია გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დ. ლ. ქართველიშვილმა. პლენუმმა იგი ცნობად მიიღო და ამხანაგ დ. ლ. ქართველიშვილს დაავალა ყრილობაზე გააკეთოს მოხსენება ამ საკითხზე.

პლენუმის მუშაობის შედეგები შეაჯამა ამხანაგმა ჯ. ი. პატიაშვილმა. (საქინფორმი)

## იცნობდეთ, მოწინავეა

მილიციის სერჟანტი ე. ბაჩილავა 1983 წელს საბჭოთა არმიის რიგებში ყოფნის დროს მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად. 1984 წელს მუშაობა დაიწყო სადგურ ქუთაისის შინაგან საქმეთა ქვეგანყოფილებაში რიგით მილიციელად.

ქვეგანყოფილებაში მისვლისთანავე ხელმძღვანელობამ და პარტიულმა ბიურომ დიდი ყურადღება გამოიჩინა მის მიმართ, დაუნიშნეს დამრიგებელი, მისცეს სათანადო რჩევა-დარიგება და ესაუბრნენ იმ უფლებების და მოვალეობის შესახებ, რაც რიგითი მილიციელის მოვალეობაში შედის.

დღიდან მუშაობისა ე. ბაჩილავას ინიციატივით ან მონაწილეობით გამოვლინებულია რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი. ასევე მან მონაწილეობა მიიღო სპეკულაციის, ქონებრივი სარგებლობის მიღების გამოვლინების და მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდის დაკავებაში.



# სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის

**როცა** ანალიზს ვუკეთებთ განვლილ პერიოდში თბილისის ოქტომბრის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ გაწეულ საქმიანობას და გასული წლის ნაშრომს გულდასმით ვაანალიზებთ, წარმატებებს აწონ-დაწონით და სამომავლო ამოცანებს ვსახავთ არც ჩავარდნებზე და ნაკლზე ვხუჭავთ თვალს, ამიტომ საჯაროზე გამოგვაქვს ის ნაკლოვანებანი, რომლებმაც განვლილი დროის მანძილზე იჩინა თავი. უნდა ვთქვათ, რომ პარტიის ოქტომბრის რაიონული კომიტეტის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მიერ სისტემატიური ხელმძღვანელობისა და დახმარების შედეგად უფრო კონკრეტული და თანმიმდევრული გახდა სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის ორგანიზაცია, საზოგადოებასთან კავშირურთიერთობა. დიდი ყურადღება დაეთმო საჯაროობას, ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. აღნიშნულ და სხვა ღონისძიებათა შედეგად რაიონში გარკვეულად განმტკიცდა მართლწესრიგი. იკლო ისეთმა დანაშაულობებმა, როგორიცაა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, სახელმწიფო ქონების ქურდობა, ხულიგნობა, პირადი ქონების ქურდობა, უნებართვო ცეცხლსასროლი იარაღით დანაშაულის ჩადენა, გაიზარდა მომხდარ დანაშაულთა დროულად და ოპერატიულად გახსნა.

განვლილ პერიოდში ნაყოფიერი მუშაობა გატარდა მექთამხორობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რომელსაც უშუალოდ პარტიის რაიკომთან არსებული სათანადო კომისია ხელმძღვანელობს. ისეთი პირები, რომლებიც სისტემატიურად თავს არიდებენ სასარგებლო შრომას, მიცემული იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში. გაძლიერდა ბრძოლა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ.

გატარებული პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად იკლო ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ნასვამი პირების მიერ ჩადენილი ხულიგნობის და სხვადასხვა სახის სისხლის სამართლის დანაშაულმა.

დიდი ყურადღება დაეთმო პატიმრობიდან დაბრუნებულ პირთა შრომით საქმიანობაში ჩაბმას და მათზე მეთვალყურეობის გაძლიერებას.

საგრძნობლად გაძლიერდა სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების შრომის ნაყოფიერება.

დიდია რაიგანყოფილების წარმატებაში უბნის ინსპექტორთა როლი. რომელთა დაუღალავი შრომის შედეგად თავიდან იქნა აცილებული მრავალი სისხლის სამართლის დანაშაული. რაიონისათვის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენდა მეზობლური დავების გამო მომხდარი სისხლის სამართლის დანაშაულობები, რაც დღეისათვის საგრძნობლად შემცირდა. მოდავე მხარეებთან და მათ მეზობლებთან სისტემატიური შეხვედრები, ერთობლივი პროფილაქტიკური საუბრები დადებითი შედეგების საწინდარი გახდა. თუმცა აქვე უნდა ვთქვათ, რომ შეგვარცხვინა უბნის ინსპექტორმა ხოკერაშვილმა, რომელმაც სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა.

შს რაიგანყოფილების თანამშრომელთა მიერ დროულად და ვადების დარღვევის გარეშე განხილული იქნა მოქალაქეთა მრავალი განცხადება, რაც განყოფილების თანამშრომელთა მიღების დღეების და საათების რაციონალურად გამოყენებამ გამოიწვია.

მიუხედავად გაწეული მუშაობისა, რაიონში მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. უნდა გაძლიერდეს ბრძოლა ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ. გასული წლის მანძილზე შინაგან საქმეთა განყოფილებაში გამოვლინდა უღირსი თანამშრომლები, რომლებიც სოციალისტური კანონიერების დარღვევისა და დაკავებული თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის დათხოვნილ იქნენ შინაგან საქმეთა ორგანოებიდან და მათ ადგილზე მიღებულ იქნენ ახალგაზრდა, ენერგიული მუშაკები.

ამჟამად ოქტომბრის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში უაღრესად დაძაბული, პრინციპული, საქმიანი მუშაობა მიმდინარეობს, რათა ახალი წარმატებებით შევხვდეთ სკკპ XXVII ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას.

**ა. ჭვანია,**
**თბილისის ოქტომბრის შს რაიგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი.**

# დისციპლინა — ყველგან და ყველაფერში

**თბილისის** ორჯონიკიძის რაიონის შინაგან საქმეთა მე-2 ქვეგანყოფილებას საანგარიშო პერიოდში ჩატარებული აქვს გარკვეული ოპერატიულ — პროფილაქტიკური ღონისძიებები, რაც თვალნათლივ აისახა განყოფილების საერთო მონაცემებში.

გასულ წელს ქვეგანყოფილების ტერიტორიაზე რეგისტრირებული ყველა დანაშაული გახსნილია.

უნდა აღინიშნოს, რომ უბნის ინსპექტორის რ. ჩალიგავას მიერ განვლილ პერიოდში გამოვლენილი იქნა არაერთი უმუშევარი, რამდენიმე მათგანი მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

განვლილ პერიოდში არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის მიერ ჩატარებული იქნა დადებითი პროფილაქტიკური მუშაობა, კერძოდ: აღრიცხვაზე იქნა აყვანილი არასრულწლოვნები. პროფილაქტიკურ აღრიცხვაზე გვყავდა რამდენიმე არაკეთილსაიმედო ოჯახი, გამოვლინდა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი არასრულწლოვნები.

ჩატარდა ლექცია-საუბრები 137-ე საშუალო სკოლაში თემაზე „არასრულწლოვანი და კანონი".

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არასრულწლოვანთა საქმეების უბნის ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ა. ქიბროწაშვილი კარგად ართმევს თავს თავის საქმიანობას, კარგად ესმის და იცის არასრულწლოვანთა ფსიქიკა, მათთან პედაგოგიური, აღმზრდელობითი მიდგომა და სხვა.

ქვეგანყოფილებაში შემოსული ყველა განცხადება — საჩივარი ვადების დაურღვევლად, დროულად შესრულდა.

მართალია ქვეგანყოფილების მიერ გატარებული იქნა გარკვეული ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებები, მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას იმ ხარვეზებზე და ნაკლოვანებებზე რაც გაგვაჩნია.

უნდა აღინიშნოს ქვეგანყოფილების პირადი შემადგენლობის როგორც სამსახურებრივი, ასევე პირადი დისციპლინის შესახებ, რომელიც როგორც წესი იწყება სამორიგეო ნაწილიდან, რომლის საქმიანობას არ შეიძლება ვუწოდოთ ქვეგანყოფილების — „სარკე". ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სამორიგეო ნაწილის თანამშრომლები, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებულია რიგითი შემადგენლობით უმიზეზოდ აცდენდნენ სამსახურს, ცხადდებოდნენ გაუპარსავი და მოუწესრიგებელი. მათ შორის რიგითი მ. ხარაიშვილი, რომელთანაც ვერ გასჭრა ვერავითარმა, როგორც აღმზრდელობითმა, ასევე მკაცრმა საუბარმა. იგი დათხოვნილი იქნა შს ორგანოებიდან. რიგითები ა. ბერმამუკელი და ე. მიდელაური გაფრთხილებული არიან.

არ შეიძლება აგრეთვე არ ითქვას, იმ დაძაბულ მუშაობაზე რასაც ქვეგანყოფილება ეწევა ზაფხულის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით, რის შედეგადაც რაიმე სერიოზული შენიშვნა და მითითება ჩვენ არ მიგვიღია პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკების მხრიდან. და ბოლოს, ქვეგანყოფილების პირადი შემადგენლობა პირობას იძლევა, რომ ის ხარვეზები და დაშვებული შეცდომები რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი ჩვენს მიერ გათვალისწინებული და აღმოფხვრილი იქნება.

**მ. ხუციანიძე,**
**თბილისის ორჯონიკიძის რაიონის შს მე-2 ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი.**

# ЗА ОБРАЗЦОВЫЙ КОММУНИСТИЧЕСКИЙ ГОРОД

**«Подчеркивая ответственность работников органов внутренних дел, прокуратуры и суда, мы вправе потребовать от каждого из них, и в первую очередь, от коммунистов, самого серьезного, по-настоящему образцового отношения к выполнению своего служебного долга, как одного из важнейших условий борьбы с противозаконными и антиобщественными проявлениями».**

## ПО ВСЕМ ФРОНТАМ

Органами и подразделениями внутренних дел Тбилгорисполкома за истекшие два года проделана определенная работа по борьбе с преступностью и охране общественного порядка в столице республики. В целях реализации критических замечаний, высказанных на конференции, в УВД Тбилгорисполкома были разработаны и осуществлены дополнительные мероприятия, в частности, проведены организационные мероприятия по укреплению аппарата ОБХСС. За последние годы почти на 60 процентов обновился состав этой службы, что способствовало активизации борьбы с хозяйственными и иными корыстными преступлениями. Определенная работа проведена по выявлению и пресечению фактов обмана потребителей в сфере торговли и бытового обслуживания населения.

На прошлом форуме коммунистов столицы особое внимание было уделено вопросам обеспечения в городе безопасности движения. В связи с этим в УВД г. Тбилиси были разработаны меры по коренному улучшению деятельности госавтоинспекции. Определенные результаты налицо. Значительно активизировалась работа по выявлению нарушителей правил движения.

Заметно усилилась борьба с тунеядством. Так, в 1985 году органами внутренних дел города было выявлено свыше 2 тысяч лиц, не занятых общественно полезным трудом, многие из них трудоустроены. За злостное уклонение от общественно полезного труда к уголовной ответственности привлечены тунеядцы. Положительные результаты достигнуты в борьбе с пьянством и алкоголизмом. За 1985 год выявлено немало пьяниц, часть из них была направлена в ЛТП, помещена в наркологический диспансер. Особенно активизировалась эта работа после выхода Указа Президиума Верховного Совета Грузинской ССР «Об усилении борьбы с пьянством и алкоголизмом».

Словом, борьба против правонарушений, за укрепление дисциплины и порядка широко развернулась по всем направлениям. Но сказанное не должно стать поводом для самоуспокоения. Процент нарушителей социалистической законности все еще продолжает оставаться высоким. Стало быть, надо приложить максимум усилий, чтобы ликвидировать имеющиеся в нашей работе недочеты, упущения, с еще большим накалом повести наступление против всех негативных явлений, тормозящих всенародный поход за превращение столицы республики в образцовый коммунистический город.

**Р. ГВЕНЦАДЗЕ,**
**заместитель начальника УВД Тбилгорисполкома, майор милиции.**

## ОСНОВНОЙ ПРИНЦИП — СПРАВЕДЛИВОСТЬ

Сначала о позитивных сдвигах, происшедших за последние два года в обеспечении нормальной оперативной обстановки в столице республики. Сократилось количество опасных преступлений, таких, как убийство, покушение на убийство, нанесение тяжких телесных повреждений.

Активизировалась борьба против спекуляции, расхитителей социалистической собственности, взяточничества. Экономические санкции применяются к нарушителям государственной дисциплины, бракоделам, к тем, кто занимается приписками в государственной отчетности, очковтирательством.

Принимаются меры к тому, чтобы строго соблюдать договорные обязательства, до минимума свести простои железнодорожных вагонов. Хорошо ведется работа в этом направлении в Первомайском и Заводском районах, улучшилась она за последнее время в Глданском и Кировском районах. Однако, нельзя довольствоваться достигнутым. Далеко не везде закрыты лазейки для растаскивания народного добра, много еще злоупотреблений, неразберихи в учете и расходовании материальных ценностей. Немало и тех, кто пользуется неправедными благами, живет на широкую ногу, идет на компромисс с совестью во имя личной выгоды. Достаточно только вспомнить, сколько обнаружено за последнее время фиктивных браков с целью незаконного приобретения жилой площади, сколько разоблачено взяточников и расхитителей. Но ведь некоторые еще продолжают тайно орудовать, делать свои темные делишки. Органы прокуратуры, милиции обязаны принять самые действенные меры, чтобы наказание настигло преступника своевременно.

Многое сделано в деле укрепления трудового законодательства. Можно смело сказать, что вдвое, а то и втрое сократилось число случаев незаконного увольнения граждан с работы.

Но впереди у нас дел — непочатый край. В борьбе за укрепление социалистического правопорядка нет второстепенных вопросов, проблема эта — комплексная, и решать ее надо комплексно. Успех ее — в объединении усилий всех трудовых колективов, государственных и общественных органов, в обеспечении четкой, хорошо скоординированной работы милиции, суда, прокуратуры.

**С. НАНИТАШВИЛИ,**
**прокурор г. Тбилиси.**

## ЦЕЛЬ — ПРОФИЛАКТИКА

За последние два года немало сделано для того, чтобы укрепить социалистическую законность, правопорядок, дисциплину. В подтверждение сказанному, я думаю, необязательно обращаться к процентным показателям, тешить себя тем, что когда-то было хуже по сравнению с настоящим периодом, что теперь, судя по цифрам, оперативная обстановка более спокойная и т. д.

Давайте пробьемся сквозь частокол цифр и реально взглянем на действительность, остановимся на просчетах.

Надо откровенно признать — профилактическая и воспитательная работа все еще не находится на должном уровне. Отсюда и все наши беды. Анализ изученных уголовных дел показывает, что большинство лиц, совершивших преступления, в прошлом имели судимости. Вывод? Видимо, недостаточно эффективно осуществляется административный надзор за теми, кто недавно вернулся из мест лишения свободы. Упустили, отсюда и рецидив.

Участковым инспекторам поручены очень ответственные позиции в борьбе за укрепление правопорядка. Но, увы, далеко не всегда они справляются со своей ролью, далеко не всегда владеют ситуацией на местах, в курсе событий, происходящих на вверенных им участках.

Коль скоро речь зашла о профилактике, надо отметить и серьезные упущения в деятельности народных судов. Не скажу ничего нового, подчеркнув большое профилактическое и воспитательное значение выездных судебных заседаний.

Студент совершил серьезный проступок. Причем, как выяснилось в ходе следствия, не в первый раз. Так, почему же процесс над ним надо вести в стенах народного суда, а не вынести его в студенческую аудиторию? Ведь мероприятие это получило бы дополнительную нагрузку, стало бы важным воспитательным фактором. Однако, некоторые судьи предпочитают оградить себя от лишних хлопот и разбирают дела без выхода из служебного помещения.

Можно продолжить перечисление недочетов и упущений, в частности то, что не всегда судьи детально анализируют причины, которые привели подростка на скамью подсудимых, случается, что в производство принимаются дела, нуждающиеся в доследовании, нарушаются установленные сроки проведения процессов...

Конечно, в последнее время многие недостатки, если не изжиты окончательно, то стали значительно реже встречаться. Но они все-таки есть. Значит, на повестке дня по-прежнему остается вопрос — как использовать все существующие средства, все формы работы, чтобы добиться эффективности борьбы за укрепление дисциплины и порядка, обеспечить нормальную оперативную обстановку в городе.

**Ш. МАХАРАДЗЕ,**
**председатель Тбилисского городского суда.**

სიფხიზლე — ცხოვრების ნორმა

# ფხიზელი ცხოვრების დამკვიდრებისათვის

**სამედიცინო** გამოსაფხიზლებელი ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ფრონტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. აქ ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ სიფხიზლე ცხოვრების ნორმა გახდეს.

1985 წლის განმავლობაში მარნეულის სამედიცინო გამოსაფხიზლებელს, რომელიც ქალაქსა და რაიონს ემსახურება, ასობით მთვრალ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი „ესტუმრა". მათი უმრავლესობა აქ 16 საათის შემდეგ აღმოჩნდა. ასაკი უმეტესად 35 წელს აღემატება. ესე იგი ისინი სავსებით ჩამოყალიბებული ადამიანები უნდა იყვნენ, რომლებზეც ვერ იტყვი, რომ შეცდომა ახალგაზრდული გამოუცდელობით მოუვიდათ.

გარდა ამისა, სამედიცინო გამოსაფხიზლებლის მუშაკებმა წლის განმავლობაში არაერთი სისხლის სამართლის დანაშაული ამხილეს. გამოავლინეს სასმელის შინ თვითნებურად გამოხდის რამდენიმე შემთხვევა, რეიდები ჩაატარეს მთელ რიგ სავაჭრო ორგანიზაციებში, სადაც სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების მრავალი დარღვევა გამოვლინდა.

სახელმწიფო ავტოინსპექციასთან ერთობლივად ჩატარებულ რეიდებზე საჭესთან მთვრალ მდგომარეობაში მყოფი ათობით მძღოლი აღმოჩნდა.

გამოსაფხიზლებლის მუშაკებს კარგად ესმით, რომ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად აქტიური ზომების მიღებაა საჭირო. სწორედ ამიტომ ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებთან დაკავშირებით სათანადო ინფორმაციები გაიგზავნა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, მათზე იმსჯელეს საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში, მიღებული იქნა სათანადო ზომები.

გამოსაფხიზლებლის მუშაკებმა ორგანიზაციებში, საწარმოებში, მეურნეობებში შექმნეს სათანადო კომისიები. 86 ორგანიზაციაში ჩატარდა საუბრები, გაკეთდა მოხსენებები, პრესაში გამოქვეყნდა ათი სტატია.

გამოსაფხიზლებელთან „გამომშვიდობებისას" აქ მოხვედრილ პირს პერსონალურად უტარდება საუბარი ალკოჰოლიზმის მავნებლობაზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ საკითხზე ახალგაზრდა თაობასთან მუშაობას. ამ მიზნით ქალაქისა და რაიონის ყველა სკოლაში შეიქმნა „მამათა საბჭო".

ჩატარებული მუშაობისათვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მადლობა გამოუცხადა გამოსაფხიზლებლის ერთ, ხოლო შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების ხელმძღვანელობამ — ექვს მუშაკს.

ახალ — 1986 წელს გამოსაფხიზლებლის მუშაკები ახალი გეგმებით შეხვდნენ. მათ გადაწყვეტილი აქვთ კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

**ა. ალიევი,**
**მარნეულის სამედიცინო გამოსაფხიზლებლის უფროსი, მილიციის მაიორი.**

ПО ЗАКОНАМ МУЖЕСТВА

# «КОГДА ОСТАВАЛОСЬ НЕСКОЛЬКО СЕКУНД»

**Это произошло 5 ноября прошлого года. Было 12 часов ночи. Внимание слушателя Тбилисского факультета Московской высшей школы милиции МВД СССР, находившегося на практике в ЛОВД на ст. Тбилиси, Давида Абашидзе, дежурившего на станции Дидубе, привлек человек, вышедший с одного из вагонов поезда Ростов—Ереван. Давид подошел к нему и потребовал документы. Неизвестный неожиданно бросился бежать. За ним вдогонку устремились Абашидзе и сотрудники ЛОВД. Добежав до Дигомского моста, мужчина бросил какой-то сверток в Куру и без сопротивления сдался подбежавшим милиционерам.**

**Несколько сотрудников увезли незнакомца для выяснения личности в ЛОВД, а трое остались. Среди них был и Д. Абашидзе. На протяжении семи километров они пытались настичь уносимый потоками довольно бурной реки сверток. Даже настал момент, когда он пропал из виду и надежды найти его не оставалось. И вдруг, возле моста имени Элбакидзе, старший лейтенант милиции Шота Маглакелидзе воскликнул: «Ребята! Вот же этот пакет, плывет!».**



**Однако встал вопрос, как же его достать, ведь именно в этом месте самый высокий уровень воды в реке, очень сильное течение, да и двое из них не умеют плавать. Дело еще осложнял тот факт, что пакет раскрылся. Оставались считанные секунды. Вот-вот вода зальет сверток и он пойдет ко дну. Времени для раздумий не оставалось. Давид Абашидзе прямо с бордюра прыгнул в воду.**

**— Самым сложным был тот момент, когда я, настигнув пакет, поплыл против течения, — рассказывает Давид. — Мне казалось, что я не справлюсь с быстро несущимся потоком, но помог Шота. Возле моста есть железная лестница, а под лестницей расположены железные балки, на них лег Шота. Из последних сил я поплыл к нему. Он протянул мне руку и помог подняться на лестницу. В пакете оказались дефицитные лекарства и мы сразу же направились в ЛОВД. А в это время там, задержанный, рассказывал следователю сочиненную им сказку, что мол, испугался. А что было в пакете? Да так, пустяки, самые обычные вещи: полотенце, бритвенный прибор и т. д.**

**Когда же в комнату вошел мокрый Д. Абашидзе и положил на стол сверток, то задержанный сразу же перестал отпираться и сознался в преступлении.**

**Так закончилась эта история. У Давида Абашидзе впереди еще много дел...**

**Г. КОРДЗАДЗЕ.**

**НА СНИМКЕ: Д. Абашидзе.**

# სადაც მომთხოვნელობა არ არის, იქ მუშაობა ჩაშლილია

**რესპუბლიკის** პროკურატურის კოლეგიის გაფართოებულმა სხდომამ მოისმინა ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორის ანგარიში 1985 წლის 1 დეკემბერს გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნებულ ფელეტონში — „იქით-აქეთ" გადმოცემული ფაქტების შემოწმების შედეგების შესახებ.

სხდომას ესწრებოდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის განხილვის დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ სტატიაში გადმოცემული ფაქტების ანალოგიური მაგალითები მანამდეც გამოუვლენიათ როგორც რესპუბლიკის პროკურატურას, ისე სატრანსპორტო პროკურატურებს. არაერთხელ შეუტანიათ წარდგინებანი, რომლებშიც რკინიგზის ხელმძღვანელების ყურადღებას მიაპყრობდნენ მოძრაობის უსაფრთხოებისა და რკინიგზის ტრანსპორტის ექსპლოატაციის, მგზავრთა გადაყვანის, სახალხო-სამეურნეო ტვირთის დაცვა-შენახვის წესების დარღვევას. მაგრამ ამ წარდგინებებს, ჩვეულებრივ, ფორმალურად იხილავდნენ და საქმის ვითარებას რეალური გაუმჯობესება არ მოჰყოლია.

ბოლო დროს რკინიგზის ტრანსპორტზე შესუსტდა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლა. ჯერ კიდევ ხშირია მატარებლების ავარიები, უზრუნველყოფილი არ არის ტვირთის დაცვა შენახვა. ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობაა შექმნილი რკინიგზის თბილისის განყოფილებაში. აქ ხშირია შრომის დისციპლინის, უსაფრთხოების, მოძრავი შემადგენლობის ექსპლოატაციის წესების, რკინიგზის ტრანსპორტის ნორმალური მუშაობის მარეგლამენტებელი ინსტრუქციების დარღვევის შემთხვევები. დაბალია საშუალო რგოლის რკინიგზელთა კვალიფიკაცია, რკინიგზის ხელმძღვანელობა კი ჯეროვან მომთხოვნელობას არ იჩენს პასუხისმგებელი თანამდებობის პირებისადმი მინდობილ უბანზე წესრიგის დამყარებისათვის.

ამიერკავკასიის რკინიგზაზე კვლავ ირღვევა სამგზავრო მატარებლების მოძრაობის გრაფიკი, სერიოზული ნაკლოვანებებია მგზავრთა გადაყვანაში, საკონტროლო სარევიზიო აპარატის საქმიანობა კი არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს და ძირეულ გარდაქმნას საჭიროებს.

თუმცა სატრანსპორტო ორგანოებმა ბევრი რამ გააკეთეს სახალხო-სამეურნეო ტვირთის მოვლა-შენახვის უზრუნველსაყოფად, მისი დატაცების შედეგად მიყენებული ზარალი ჯერ კიდევ დიდია.

ღონისძიებები, რომლებსაც გზის ხელმძღვანელობა ახორციელებს ამ მხრივ, უეფექტო, ზოგჯერ კი ფორმალურია.

ტრანსპორტზე სამართალდარღვევათა გავრცელება მოითხოვს სამართალდაცვითი ორგანოების ოპერატიულობას და შეტევითობას. ამ დროს კი, ხაზგასმით აღინიშნა კოლეგიის სხდომაზე, მათ მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი არსებითი ნაკლია. საქართველოს შინაგან საქმეთა სამმართველოს ტრანსპორტის ორგანოებში ტვირთის დატაცების მრავალი შემთხვევა ჯერ კიდევ გაუხსნელი რჩება. საქმეთა გამოძიება ყოველთვის არ ხორციელდება პროფესიულ დონეზე, აღმოფხვრილი არ არის გაჭიანურებისა და უხარისხო გამოძიების ფაქტები. ჯეროვნად არ სწავლობენ და აღმოფხვრიან ტრანსპორტზე დარღვევების მიზეზებს და ხელშემწყობ პირობებს, თბილისის სატრანსპორტო პროკურატურა კი ხშირად იფარგლება წარდგინებებით, რომლებიც ფაქტობრივად ერთმანეთის გამეორებაა.

კოლეგიამ კრიტიკულად გააანალიზა საქმის ვითარება რკინიგზაზე, განიხილა ტრანსპორტზე სამართალდაცვითი ორგანოების საგამოძიებო აპარატის საქმიანობის შემდგომი სრულყოფის ამოცანები და განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ყველგან უნდა განმტკიცდეს კანონიერება, განუხრელად უნდა იყოს დაცული მოქალაქეთა უფლებები დანაშაულთა გახსნისა და გამოძიების დროს. ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურის ცალკეული თანამდებობის პირების მუშაობას მწვავე და პრინციპული შეფასება მისცეს, განსაზღვრეს სატრანსპორტო შემთხვევების პროფილაქტიკის კონკრეტული ღონისძიებანი.

В СТРОЮ ВЕТЕРАН

# О ДОЛГЕ, О СЛУЖБЕ

Отделение, которое возглавляет участник Великой Отечественной войны Василий Георгиевич Нануашвили, считается одним из лучших в Грузинской ССР. Оно прочно занимает одно из ведущих мест в социалистическом соревновании в честь XXVII съезда КПСС. В. Нануашвили регулярно является победителем в конкурсе «Лучший по профессии», он занесен в Книгу почета УПО МВД республики.

Василий Георгиевич — личность яркая. Молодежь тянется к нему, учится у него самоотверженному служению делу.

— Я с юности хотел быть нужным людям,— делится своими воспоминаниями Василий Георгиевич. — А больше всего в людях мне нравилось мужество, самоотверженность. Дисциплине и собранности меня научила армия. А после демобилизации предложили служить в пожарной охране. Я согласился. И не жалею об этом, мой стаж «перевалил» за пятый десяток.

В год окончания Великой Отечественной войны пришел в ВПЧ-3 города Тбилиси В. Нануашвили. Здесь молодого воина стали приобщать к пожарно-прикладному спорту. Он увлекся им, занимался в свободное время. Спорт помог ему выработать быструю реакцию, умение правильно и безошибочно оценить обстановку в экстремальных условиях. Вскоре он стал сам помогать спортсменам, тренировать их. И много воспитал отличных пожарных и прекрасных спортсменов, широко известных в республике. Это Н. Гудавадзе, Д. Пайчадзе, Г. Пивоваров, Ю. Соколов, А. Оганезов, И. Кривенко, Г. Пхаладзе, О. Гаглоев.



Сейчас В. Нануашвили служит в части, охраняющей производственное объединение «Химволокно» в городе Рустави, и продолжает тренировать команду. Его руставские воспитанники составляют костяк республиканской сборной команды по пожарно-прикладному виду спорта и пятый год подряд занимают призовые места в республике, успешно выступают на всесоюзных соревнованиях.

Василий Георгиевич оказывает непосредственную помощь молодому начальнику караула Нодару Гудавадзе. Ненавязчиво, грамотно, по-отечески щедро.

**Б. МУМЛАДЗЕ.**
**капитан в/с.**

**მალე** სასწრაფო დახმარების მანქანამ დაზარალებული წაიყვანა. დათოვლილ ხეებს შორის უკვე მარტო მილიციის მუშაკები იდგნენ და მდგომარეობას მისხალ-მისხალ წონიდნენ. მძღოლი მათ შორის არ ჩანდა. თენგიზ მონიავა თავისი სამძებრო ძაღლით გაუთავებელ წრეებს უვლიდა შემთხვევის ადგილს და გასროლილი ტყვიების მასრებს ეძებდა.

— მე ვფიქრობ აქ სულ სამნი იყვნენ, — დაიწყო ექსპერტმა, — მანქანით მოვიდნენ, რაღაცაზე ხანგრძლივი საუბარი თუ დავა ჰქონდათ. ნაფეხურები ბლომადაა, რაც იმის ნიშანია, რომ აქ კარგა ხანს დაჰყვეს. მერე ეს ორი თავს დაესხა მესამეს. თქვენ რას ფიქრობთ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო?

— მეც ასევე ვფიქრობ. შემთხვევის ადგილის დათვალიერებამ,

— საინტერესოა. შენ როგორ ნაწილ-ნაწილ ღრღავ, ამხანაგო კირთაძე?

— შეიძლება, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, მაგრამ... მერე ყველაფერს პირველი დათვალიერების ოქმში ჩავწერ.

ჯაფარიძემ უმცროს ლეიტენანტს კეთილად შეხედა და გაუღიმა. სწორედ ამ დროს ლამისეულ ჯანყში მამულაშვილის ბრგე ფიგურაც გამოიკვეთა.

— მანქანა „ვოლგა" იყო, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, — თქვა მან ისეთი ტონით, რომ ძნელი იყო მის სიტყვებში რაიმე ეჭვი შეგეტანათ.

— თქვენის აზრით, ვახტანგ, ისინი თბილისის მხრიდან მოვიდნენ?

— დიახ, იქიდან მოვიდნენ და გააკეთეს რა თავიანთი ბნელი საქმე, კვლავ თბილისისაკენ გასწიეს.

# მზე ისევ გამოანათებს

## ზაალ მესხიშვილი

საკმაოდ ნათელი სურათი მოგვცა. მოვიდნენ სამნი, თანაც დაზარალებული ალბათ მოტყუებით წამოიყვანეს. მან საკმაო წინააღმდეგობა გასწია. მარჯვენა ხელი სისხლით აქვს მოსვრილი, ხელზე კი ჭრილობა არ ეტყობა, ვფიქრობ, ეს მისი სისხლი არაა. ალბათ რომელიმე მსუბუქად დასჭრა ერთი თავდამსხმელი. ამის ზუსტ სურათს სისხლის საბოლოო ანალიზი მოგვცემს.

— საიდან გაგიჩნდათ აზრი, რომ თავდამსხმელი მხოლოდ მსუბუქად დაიჭრა?

ჯაფარიძე უფრო ახლოს მივიდა ექსპერტთან.

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ჭრილობა რომ მძიმე ყოფილიყო, ჩვენ სისხლს მიწაზე ვიპოვიდით, ამას გარდა, უკან წასვლისას თავდამსხმელი სისხლის კვალს გზაზეც საკმაოდ დატოვებდა. მაგრამ სისხლის კვალი ჩვენ ჯერ არ აღმოგვიჩენია. ეს კი მიგვანიშნებს, რომ ის კაცი მხოლოდ მსუბუქად დაიჭრა. დაზარალებული მას რომ ებრძოდა, მეორემ აი აქედან, სულ სამიოდე მეტრის დაშორებიდან ესროლა და მკერდის არეში მძიმედ დასჭრა. დაზარალებულს მიბრჯნით ესროლეს. ამ დასკვნამდე იმან მიმიყვანა, რომ იმ საცოდავს ჭრილობა სუფთა ჰქონდა, დენთის კვალი არ ჩანდა.

ჯაფარიძეს არაფერი უთქვამს, ხელებზე კვლავ დაიორთქლა და მიწას ხელთაანარი მიანათა. ხუთიოდე ნაბიჯი გაიარა და შეჩერდა.

სწორედ ამ დროს კირთაძე ისევ გამოჩნდა.

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ერთი რამ დამავიწყდა თქვენთვის რომ მეთქვა.

ჯაფარიძე ტანში ნელ-ნელა გასწორდა და გაირინდა.

— დაზარალებული რომ ვნახე, ყველა ჯიბეები გადმობრუნებული ჰქონდა.

— და მერე რა იფიქრეთ, ამხანაგო კირთაძე?

— ვიფიქრე, რომ გაძარცვის მიზნით დაესხნენ მეთქი თავს...

— „გულდამ" მასრა, მასრა ვიპოვე! — გაისმა მონიავას მხიარული შეძახილი.

ხეებს შორის მონიავა გამოჩნდა. მან მასრა ჯაფარიძეს გადასცა. იმ წუთში მათთან ექსპერტიც მივიდა.

ჯაფარიძემ მასრას ყურადღებით დახედა, მერე ექსპერტს გადასცა,

— ვფიქრობ პისტოლეტი გერმანული წარმოების „ვალტერის" სისტემისაა.

ექსპერტმა სათვალე გაისწორა. მერე ხელთაანარი აანთო და მასრას ყურადღებით დახედა.

— დიახ, თქვენ მართალი ბრძანდებით.

ოპერატიული ჯგუფის უფროსს კირთაძე მიუახლოვდა.

— დაზარალებულს საათი ჰქონდა შეხსნილი, ჩემი თვალით ვნახე, მაჯაზე აჩნდა სამაჯურის ანაბეჭდი.

ქარის ზუზუნში, ერთბაშად უფროსი ლეიტენანტის უშანგი შეშაბერიძის როხროხა ხმა გაისმა.

— კიდევ ერთი აღმოჩენა მეგობრებო.

შეშაბერიძე წიფელასთან ოდნავ შემაღლებულ ადგილას იდგა. მარჯვენა ხელი წინ ილუზიონისტივით გაეშალა, ხელის გულზე კი პალტოს საკმაოდ მოზრდილი ღილი ედო.

ჯაფარიძე მას სწრაფად მიუახლოვდა და ღილი გამოართვა.

— დიახ, როგორც ჩანს აქ საკმაოდ სერიოზული ომი ყოფილა. ისე ღილი პალტოს არ აძვრებოდა. ასე არ არის?

— რასაკვირველია, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ყველაფრიდან ჩანს, რომ დაზარალებულმა გვარიანი წინააღმდეგობა გასწია და ამ შეხლა-შემოხლაში ვიღაცას პალტოდან ღილიც აძვრა.

სწორედ ამ დროს ექსპერტიც გამოჩნდა.

— ამ ადგილას მანქანა შემოუბრუნებიათ, ეს ოპერაცია არც თუ ისე უხიფათოდ დამთავრებულა, მანქანა მოცურებულა და უკანა სვლით ხეს დაჯახებია. მიწაზე კარგად ჩანს მოცურებული მანქანის ბორბლების კვალი. უნდა ვივარაუდოთ, რომ მანქანის უკანა ფრთა დაზიანდა, შეიძლება საღებავის ანაბეჭდი ხეზეც დარჩა.

ჯაფარიძემ ღილი ისევ შეშაბერიძეს გაუწოდა. მერე მთელი ტანით ექსპერტისაკენ შებრუნდა და სახეში ისე ჩააშტერდა თითქოს და ამ გამხდარ, სათვალიან კაცს პირველად ხედავდა.

— დიახ, ეს ყველაფერი ძალზე საინტერესოა. ბიჭებო, რეფლექტორები მოიტანეთ! ჩქარა მოიტანეთ რეფლექტორები.

მონიავა, კირთაძე და კიდევ ერთი ვიღაც თვალისდამხამხამებაში რეფლექტორებს ეცნენ. მისი შუქით მიდამო სწრაფად გაბრდღვიალდა. მამულაშვილმა უშველებელი ლუპა ამოიღო და წიფელასთან ჩაიჩოქა.

ექსპერტმა ლუპა მოიმარჯვა და ხის ქერქის ყოველი მილიმეტრის გულმოდგინეთ სინჯვას შეუდგა.

— მანქანა მარჯვენა ფრთით არის დაჯახებული. აი აქ, — ექსპერტმა საჩვენებელი თითი გაიშვირა, — ნათლად ჩანს შავი ნიტროემალის საღებავის კვალი.

— მგონი ოქმის დაწერის დროც დადგა, — თქვა ქალაქის პროკურატურის გამომძიებელმა, რომელიც მთელი ამ დროის განმავლობაში ყველაფერს გულმოდგინედ აკვირდებოდა, მაგრამ დუმდა.

— დიახ, მეც ასე ვფიქრობ — დაეთანხმა ჯაფარიძე, — მგონი ყველაფერი გულმოდგინეთ მოვჩხრიკეთ. უკვე დროა ოქმიც გავაფორმოთ.

პროკურატურის გამომძიებელმა თავი დაიქნია და მანქანისაკენ წავიდა.

დასაწყისი იხ. „მგზს" №№ 1, 2

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

В сентябре 1985 года в Октябрьском районе города Тбилиси было возбуждено сразу два уголовных дела с идентичным «сюжетом», хотя состав преступления и статья уголовного кодекса не совсем те же. Участники их, то есть обвиняемые, — люди разных поколений, одному из них почти 60, а другому нет и 24 лет. Несмотря на разницу в возрасте, у них очень много общего, как в судьбе, так и в характере, точнее, во взглядах и наклонностях.

Поверхностное представление о них можно получить из кратких и скупых данных протокола:

«Битаров Анатолий Григорьевич, 1962-го года рождения, уроженец Тбилиси, осетин, гражданин СССР, судимый, беспартийный, образование среднее, холост, безработный, ныне осужденный...».

«Петросян Вахтанг Габриелович, 1927-го года рождения, уроженец села Акори Туманянского района, Армянской ССР, гражданин СССР, беспартийный, малограмотный, семейный, ранее 8 раз судимый, ныне осужденный...».

Кстати, наряду с подробной информацией, о прошлых совершенных преступлениях, есть в обоих документах одна полностью повторяющаяся фраза. Выглядит она так: «...но не стал на путь исправления», то есть выйдя «на свободу», оба действующих лица незамедлительно приступили к своей привычной деятельности. Итак, снова преступления, кражи, разница между которыми лишь в незначительных обстоятельствах.

Вот последние из них. Петросян в Тбилиси, в универмаге на улице Марджанишвили, открыл сумку гражданки А. Покусаевой и вытащил из нее кошелек с деньгами. Битаров же во время поездки в маршрутном автобусе у Рехского поселка в Тбилиси, у гостьи нашего города Б. Башкинскайте, приехавшей из Литвы, вырвал сумку с деньгами, ценными вещами и приобретенным ею авиабилетом. Не дав потерпевшей опомниться, он выскочил из автобуса на ближайшей остановке.

Дело это, как и предыдущее, расследовал молодой следователь следственного отделения Октябрьского РОВД г. Тбилиси, лейтенант милиции Рамаз Квирквия. Оба дела в короткий срок были им переданы в районные судебные органы, по ним уже вынесен приговор. А в общем, не было бы в этой истории ничего необычного, привлекающего внимание, интересного, если бы не еще одно схожее обстоятельство. И старый рецидивист Петросян, и его юный «коллега», настойчиво уклонялись от какой-либо трудовой деятельности, как не совсем удачно сформулировано в документах, были «безработными», а правильнее было бы сказать — бездельниками, тунеядцами. И это несмотря на неоднократные судимости, и, что еще важнее, административный надзор, который в этих случаях был ослаблен.

Надо сказать, что в суточных сводках о правонарушениях, совершаемых в нашей республике, часто встречаются участники преступлений, которые недавно освободились из мест лишения свободы. И что самое главное, их повседневная жизнь оказывается неконтролируемой. В этом немалая вина работников органов внутренних дел республики.

Н. ГВАРАМИЯ

ПО СЛЕДАМ ПРЕСТУПЛЕНИЙ

# «НА СВОБОДЕ»

**ჩატარდა** ფოთის ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საქალაქო საბჭოს კონფერენცია. მოხსენება საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგებზე წაიკითხა გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსის მოადგილემ პოლიტდარგში რ. წულაიამ.

კონფერენციამ მოისმინა სარევიზიო კომისიის ანგარიში.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი, შ/ს კაპიტანი დ. ხოშტარია. ფოთის წყალკანალიზაციის უფროსი ს. ნურალაშვილი, აეროპორტის დაცვის უფროსი ჟ. კვაჭაძე, ტორფის ქარხნის მოხალისეთა სახანძრო რაზმეულის უფროსი ი. ჭიქაბერიძე, წისქვილქარხნის დაცვის უფროსი დ. გაბრიჩიძე.

## საქალაქო კონფერენციაზე

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პასუხისმგებელმა მდივანმა დ. ჭანტურიამ.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ მიღწევებთან ერთად ფოთის ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საბჭოს მუშაობაში გააჩნია სერიოზული ნაკლოვანებები. არასაკმარისად მარაგდება სახალხო მეურნეობის ობიექტები ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებებითა და გამაფრთხილებელი სახანძრო სააგიტაციო ფოტოსტენდებით. მკაცრი შეფასება მიეცა მოსახლეობაში სახანძრო საქმის სწავლების საკითხს. ასევე გამახვილებული იქნა ყურადღება ორგმასიურ ღონისძიებათა დაბალ დონეზე, უხარისხოდ ჩატარებისა და რიგ სხვა საკითხებზე. არსებული ნაკლოვანებების გათვალისწინებით კონფერენციამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

კონფერენციამ აირჩია ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საბჭო, რომლის თავმჯდომარედ დამტკიცდა ჯ. მაისაია.

კონფერენციამ აირჩია საზოგადოების რესპუბლიკური, მეხუთე ყრილობის დელეგატები.

## მოკლედ

**მარნეულის** შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების თანამშრომლებმა მილიციის კაპიტანმა ტ. ნაზლიდისმა და ლეიტენანტმა ზ. ნურმამედოვმა დააკავეს საეჭვო პიროვნება, რომელიც აღმოჩნდა მ. ბარაევა, იგივე მ. ქიგუნოვა, დაბადებული 1951 წელს, გაურკვეველი საცხოვრებელი ადგილის მქონე. გაირკვა, რომ მ. ბარაევას დაეძებს ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური ოლქის მილიცია, რადგან ეჭვმიტანილია რამდენიმე ბინის გაქურდვაში.

**დუშეთის** შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების თანამშრომლებმა, სისხლის სამართლის სამძებროს ოპერრწმუნებულმა, კაპიტანმა ი. ჩოხელმა და უბნის ინსპექტორმა, ლეიტენანტმა ბ. თეთრუაშვილმა ქურდობაში ამხილეს გ. ქავთარაძე, რომელმაც მოქალაქეს ტანსაცმელი მოპარა.

# Реплика

На улице Орджоникидзе часто можно наблюдать подобную картину. Вызывает недоумение тот факт, что это нагромождение машин находится там, где расположен знак «Стоянка запрещена».

Редакция обращается с вопросом к сотрудникам ГАИ: для кого же все-таки установлен этот знак, если никто из водителей не обращает на него ни малейшего внимания? Ведь подобное нарушение не редкость на улицах нашего города.



# ახალი წლის ღამეს...

**მრავალი** იტალიელისათვის ტრაგიკულად დამთავრდა საახალწლო დღესასწაული. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით ქვეყნის საავადმყოფოებში მიიყვანეს 450-ზე მეტი კაცი, რომლებსაც მიღებული ჰქონდათ ჭრილობები და დამწვრობა.

პირველობა, როგორც გასულ წელს ეკუთვნის ნეაპოლს, სადაც თვითნაკეთი პეტარდებით დაზარალდა 75 კაცი.

გფრ-ს პოლიცია და სახანძრო ნაწილები საახალწლო ღამეს სრულ მზადყოფნაში მოიყვანეს, როდესაც ცნობილი გახდა, რომ ქვეყნის მცხოვრებლებმა 100 მილიონი მარკა დახარჯეს ფეიერვერკის მოსაწყობად. მხოლოდ ყინვიანი ამინდის გამო ბევრი იძულებული იყო ბინაში დარჩენილიყო; ამიტომ დაზარალებულების რაოდენობა უმნიშვნელოა.

ძლიერი ხანძარი გაჩნდა დარმშტადში, მისი მიზეზი იყო დიდი რაოდენობით თვითნაკეთი რაკეტების აფეთქება. ერთი ადამიანი დაიღუპა, ერთიც ძლიერი დამწვრობით საავადმყოფოში მოათავსეს.

300 ლონდონელი დაიჭრა და 120 კაცი დააპატიმრეს ახალი წლის ღამეს. არეულობანი მოხდა ტრაფალგარის მოედანზე. სადაც ათი ათასობით კაცმა მოიყარა თავი. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ მიიღო შესაბამისი ზომები მაინც მოხდა შეტაკებანი.

15 კაცი გარდაიცვალა და 600 დაიჭრა — ასეთი იყო ფილიპინებზე ახალი წლის შეხვედრის შედეგი. „შვიდი ათასი კუნძულის" ქვეყანაში ახალი წლის შეხვედრა მიღებულია ფეიერვერკით, პეტარდების აფეთქებითა და სროლით. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზომებს კი ყოველთვის არ იცავენ; შედეგი — სამი დიდი ხანძარი, რომელიც პოლიციის ცნობით ფეიერვერკმა გამოიწვია და უსახლკაროდ დატოვა ათასობით ადამიანი.

სარედაქციო კოლეგია
РЕДКОЛЛЕГИЯ

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23, ტელ. 95-66-72, 991-41-24. Наш адрес: 380025, ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

უე 00311